ადრესატი:

ირაკლი შენგელია
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**45-45212843**
თარიღი: **11/10/2021**

2021 წლის ცხრა თვეში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო

ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოსული წერილობითი მომართვებისა და

განცხადებების შესრულების ზოგადი სტატისტიკა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2021 წლის ცხრა თვეში შემოსულია სულ 45 წერილობითი მომართვა და განცხადება, რომელიც მოიცავს საჯარო ინფორმაციის მიწოდების თაობაზე 268 მოთხოვნას. ყველა მოთხოვნაზე პასუხი გაცემულია კანონით დადგენილი ვადების დაცვით.

საანგარიშო პერიოდში, საჯარო მოთხოვნაზე უარის თქმის შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მიზნით, არცერთი მოთხოვნა არ შემოსულა.

2021 წლის ცხრა თვეში, საჯარო ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის შესახებ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გასაჩივრებული არ არის. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, სასამართლოს მიერ საკრებულოსათვის ხარჯების გადახდის ვალდებულება დაკისრებული არ არის, შესაბამისად, ამ მიმართულებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ხარჯები არ გაწეულა.

2021 წლის ცხრა თვეში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, საკუთარი სხდომის დახურვის თაობაზე, გადაწყვეტილება მიღებული არ არის.

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ, სხვადასხვა დროს, გადაწყვეტილება მიღებული აქვს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსს.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე
პასუხისმგებელი პირი ბერიკა გრძელიშვილი

ბერიკა გრძელიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს აპარატი-ადმინისტრაციული განყოფილება-პირველი კატეგორიის სპეციალისტი